საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030121491844519

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ ****/***********/**** ***

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური
პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ვალერი გაზდელიანს

ასლი: ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
პირთა თავშესაფარი ,,იმედი''-ს დირექტორს
ქალბატონ მარიამ ხუცურაულს
მის.: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. #6

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

(,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის
2019 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ,,სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის
ქვეპროგრამის'' მიმწოდებლად ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავშესაფარი
,,იმედი''-ს რეგისტრაციის შესახებ)

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 4 დეკემბერს მომართა ორგანიზაციამ ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავშესაფარი ,,იმედი'', რომელმაც მოითხოვა ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის'' ,,სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის'' მიმწოდებლად რეგისტრაცია მისამართზე: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. #6. შესაბამისად, წარმოადგინა ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის” ზოგიერთი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესისა და რეგისტრაციისთვის საჭირო განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის №01-76/ო ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა რეგისტრაციისთვის საჭირო სავალდებულო მოთხოვნებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავშესაფარი ,,იმედი'' 2020 წლის 1 იანვრიდან დარეგისტრირდეს ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის” ,,სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის'' მიმწოდებლად მისამართზე: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. #6, ერთდროულად 18 წლისა და მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 16 პირის მომსახურების შესაძლებლობით.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია